ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილებისზღვრული

რაოდენობის გაზრდის მიზნითგანხორციელებული შეფასების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 7 ნოემბრის N 1068 ბრძანების შესაბამისად, ამავეწლის 14 და15 ნოემბერს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას ტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1250-ით გაზრდი სჭრილში (სულ 5000 ადგილი), უსდ-ს მიერ წარმოდგენილი განაცხადის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა:

1. ნინო ღაღანიძე (თავმჯდომარე) - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

2. დავით სიხარულიძე (წევრი) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

3. ნინო ბერიშვილი (წევრი) - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

4. გოდერძი ბუჩაშვილი (წევრი) - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;

5. ანა მიხელიძე (სტუდენტიწევრი) - კავკასიისუნივერსიტეტი.

ბიზნესისა და ტექნოლოგიებისუნივერსიტეტისშესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 7 ნოემბრის N 27 გადაწყვეტილებით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 2000-ით. 2018 წლის იანვარში უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის

ვიზიტი, (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 12 იანვრის N 31 ბრძანების შესაბამისად). ექსპერტთა ვიზიტის მიზანი იყოუსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა უნივერსიტეტის მხრიდან სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 000-ით გაზრდის მიზნით გაკეთებული განაცხადის საფუძველზე. კონტინგენტის ზღვრული რაოდენობა ამ შემთხვევაში შეადგენდა სულ 4000 ადგილს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და ავტორიზაციის საბჭოზე ზეპირი მოსმენის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 2 250-ით (2018 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმი N 04).

2018 წელს უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კვლავ მიმართა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის განაცხადით და 2018 წლის ოქტომბერში უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 15 ოქტომბრის N 935 ბრძანების შესაბამისად) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციისა და ავტორიზაციის საბჭოზე ზეპირი მოსმენის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 3 750-ით (2018 წლის8 დეკემბრის სხდომის ოქმიN 11)

2019 წლის 30 ოქტომბერს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარადგინა განაცხადი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 1250-ით გაზრდის შესახებ (სულ 5000 ადგილი).სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრისდირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2019წლის7 ნოემბრის N 1068 ბრძანების შესაბამისად, უნივერსიტეტში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის მიზანი იყო ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა ზღვრული კონტინგენტის გაზრდის გათვალისწინებით.

2019 წლის 30 ოქტომბრის მდგომარეობით ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სწავლობს 2721 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. სტატუსი შეჩერებული აქვს 301 სტუდენტს.

უნივერსიტეტში დასაქმებულია 45 აფილირებული აკადემიური პერსონალი (მათ შორის 4 აფილირებული პროფესორი, 34 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 7 აფილირებული ასისტენტ პროფესორი) და 30 მოწვეული პერსონალი.

უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შეადგენს 3628.7კვ.მ. მათ შორის აუდიტორიები - 2236.72კვ.მ,კომპიუტერული კლასები- 698.7კვ.მ.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში ამჟამად ხორციელდება სამი საბაკალავრო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი), ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები) და საინფორმაციო ტექნოლოგიები. ხორციელდება ასევე სამაგისტრო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები და სადოქტორო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება. ყველა მოქმედი პროგრამის სწავლების ენა არის ქართული. უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს შეიმუშაოს ინგლისურენოვანი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ განაცხადს და დოკუმენტაციას. რიგი დოკუმენტებისა ჯგუფმა გამოითხოვა უშუალოდ ვიზიტის მიმდინარეობისას. უნივერსიტეტთან შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, სხვა ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლებს, ასევე აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემთხვევითი არჩევანის პრინციპით გადამოწმდა სილაბუსებში მითითებული სასწავლო რესურსების ბიბლიოთეკაშიარსებობა.გადამოწმდა, აგრეთვე, წინა წლებში განხორციელებული ავტორიზაციისექსპერტთა რეკომენდაციების იმპლიმენტაციის საკითხი და დადასტურდა მათი დიდი ნაწილის შესრულების ფაქტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციისურთიერთშეჯერების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი, განისაზღვრა რეკომენდაციები და რჩევები სამომავლო განვითარებისათვის.

დასკვნა

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით განხორციელებული ინსტიტუციური შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იძლევა რეკომენდაციას, რომ დაწესებულებას სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა გაეზარდოს მოთხოვნილი რაოდენობით (1250 სტუდენტი). უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და ადმინისტრაციულ, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების ჩატარების საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტების დროს გაცემული რეკომენდაციები და საგრძნობლად განვითარდა ამ მიმართულებით. უნივერსიტეტს გააზრებული აქვს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობა და გააჩნია შესაბამისი პოტენციალი.

რეკომენდაციები:

2.უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

1.რეკომენდებულია ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობითობისა და მართვის ეფექტურობის უკეთ უზრუნველსაყოფად.

2.რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რაოდენობრივი და დიფერენცირებული გაზრდა /გაფართოება (მაგალითად, ანალიტიკური და ხარისხის გარე შეფასების კომპონენტთა - ავტორიზაცია და აკრედიტაციამიმართულებით).

3. საგანმანათლებლო პროგრამები

1.რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებული იქნას სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ ფორმატში.

4. ადამიანური რესურსი

1.აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა. რეკომენდებულია, აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერის ფორმულირება მკაფიოდ გაიწეროს და გაიზარდოს აფილირებული პერსონალის ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

2.გაიზარდოს ზოგადად აკადემიური და მათ შორის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობა, მოხდეს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ფინანსური წახალისება დამკაფიოდ გაიწეროს შესაბამის წესში.

რჩევა

სასურველია, უნივერსიტეტში შეიქმნას უწყვეტი განათლების ცენტრი, რაც ხელს შეუწყობს უსდ სამომავლო განვითარებას.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კვლევების განხორციელების ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევით დაინტერესებული აკადემიური პერსონალის, დოქტორანტების და მაგისტრების ჩართვას კვლევით პროექტებში და კვლევის კუთხით ამბიციური გეგმების განხორციელებას.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

1.აისახოს ბიუჯეტში დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად;

2.დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური აუდიტის ჩატარება.

რჩევები:

1.დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა აზომვით ნახაზზე სასწავლო და დამხმარე ფართების ჯამური ოდენობის დაფიქსირება, რათა უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი გამიჯნული ფართები.
2.დაწესებულებამ უზრუნველყოს კაფეტერიისათვის დამატებითი ფართის გამოყოფა და მოწყობა, რათა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი შეუფერხებლად მომსახურება.
3. ბეჭდური წიგნების რაოდენობის გაზრდა სილაბუსების შესაბამისად, რათა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს მათი მნოთხოვნების დაკმაყოფილება;
4.ელექტრონული რესურსების ახალ ბაზებთან წვდომის გაზრდა;
5. გაუმჯობესდეს ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე, რაც აამაღლებს სტუდენტთა კმაყოფილებას აღნიშნული მიმართულებით.

6.განისაზღვროს ბიუჯეტში თანხები პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

ავტორიზაციის სტანდარტებთან უსდ შესაბამისობა

1.უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1.ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მისია უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის 2019-2025 დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მასში ხაზგასმულია უნივერსიტეტის ძირითადი პრიორიტეტები და განსაზღვრულია უნივერსიტეტის ხედვა იყოს კონკურენტუნარიანი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ

საერთაშორისო ბაზარზე. მისიაში სამეწარმეო ეკოსისტემის შექმნა და ბიზნესის მაღალ ტექნოლოგიებთან ინტეგრირება ამ მიზნის მიღწევის გზადაა დასახული.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ისინი იცნობენ და ეთანხმებიან მისიის სულისკვეთებას, მოტივირებული არიან სამეცნიერო კვლევის შედეგებსა და ინოვაციებზე დაყრდნობით შექმნან ახალი ცოდნა და ამით ხელი შეუწყონ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

1.2.უნივერსიტეტის განვითარების სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი წარმოდგენილია ერთიანი დოკუმენტის სახით. საკუთრივ სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს ორ-ორ სამწლიან პერიოდს (შესაბამისად 2019-2021 და 2022-2024 წლები). სტრატეგიული განვიტარების დოკუმენტის თანახმად დამამთავრებელი მეშვიდე წელი ეთმობა მთელი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რაიმე ობიექტური თუ სხვა გარემოების გამო შეუსრულებელი აქტივობების შესრულებას.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი კვარტალურადაა დაყოფილი და აღწერს თითოეული დაგეგმილი აქტივობის შესრულებას კონკრეტული შემსრულებლების (ადმინისტრაციული ერთეული, აკადემიური პერსონალი) მითითებით. ზოგადად დაგეგმილი ღონისძიებების ეტაპობრივ შესრულებას აკონტროლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. შემოწმების კონტროლი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პრეროგატივაა.რექტორი პასუხისმგებელია დაგეგმილი შედეგების მიღწევაზე.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისა და ადმინისტრაციულ სამსახურებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს ექსპერტებმა დასვეს შეკითხვები სტრატეგიული განვითარების გეგმის წარმოდგენილი ფორმატის შესახებ. უნივერსიტეტის წარმომადგენელთა პასუხები ცხადყოფს, რომ მათ გააზრებული და გაზიარებული აქვთ აღნიშნული ფორმატი და უნივერსიტეტის აკადემიური ავტონომიურობის ფარგლებში მიიჩნევენ, რომ განვითარების ამგვარი გეგმა დასახული აქტივობების აუცილებლად შესრულების გარანტიაა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მთლიანობაში მოიცავს ისეთი პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას, როგორიცაა: ინსტიტუციური განვითარება და მდგრადობა; ხარისხის უზრუნველყოფა და მართვა; საგანმანათლებლო საქმიანობა; სამეცნიერო კვლევა და განვითარება; ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მართვა, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები და ა.შ.

 სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის განაცხადთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმაში მოცემულია კონტინგენტის ზრდის სამიზნე ნიშნულები, კერძოდ, 2019 წელს დაგეგმილია კონტინგენტის 40%-იანიზრდა, ხოლო შემდეგი 5 წლის განმავლობაში ზრდის წლიური მაჩვენებელი შეადგენს 10%. უნივერსიტეტი გეგმავს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და უცხოელი სტუდენტების მოზიდვას. ამ მიმართულებით ცალკეა წარმოდგენილი

პროცენტული ზრდის მაჩვენებლები, რომლებიც ყოველ სამ წელიწადში 10%-იან ზრდას გულისხმობს.

სტრატეგიული გეგმა მოიცავს, ასევე, სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას, რომელთა ერთი რიგი განსაზღვრულია სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, ხოლო მეორესაერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გეგმებს და ინიციატივებს ეყრდნობა.

უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს 2019 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტალის სამოქმედო გეგმის (დაგეგმილ ღონისძიებათა) შესრულების მონიტორინგის დოკუმენტები, რომლებიც ღონისძიებათა დეტალურ აღწერას და მათზე პასუხისმგებელ პირებს/სამსახურებს მოიცავს.

2.უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

2.1.ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებს წარმოადგენენ რექტორი და აკადემიური საბჭო. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სტრუქტურაში ასევე წარმოდგენილია ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაშია როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი და სადოქტორო პროგრამის სტუდენტი, რაც უზრუნველყოფს მართვის წარმომადგენლობითობას და გადაწყვეტილების მიღების კოლეგიალურ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ერთი ფაკულტეტია, რომელიც აერთიანებს 45 აფილირებულ აკადემიურ და 30 მოწვეულ პერსონალს. შექმნილია და ფუნქციონირებს ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობა აერთიანებს ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელს (ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი), 3 აკადემიურ პერსონალს და 3 სტუდენტს. თუმცა, აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საბჭოს შემადგენლობის გაზრდა, რაც გააფართოებს მის წარმომადგენლობით ხასიათს და უკეთ უზრუნველყოფსსაბჭოს მიერ კოლეგიალური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურა აერთიანებს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს,კვლევების განვითარების და ინოვაციების ცენტრს,ადამიანური რესურსების მართვის ცენტრს, კანცელარიას, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს, ბიბლიოთეკას,მარკეტინგის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს,იურიდიულ სამსახურს, ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურს, კარიერული განვითარების სამსახურს და საფინანსო სამსახურს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეული შექმნილია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით. მკაფიოდ არის აღწერილი და გამიჯნული სტრუქტურული ერთეულების და მათი ხელმძღვანელების ფუნქციები და მოვალეობები, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეფექტურ მართვას.

ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა ნათელი წარმოდგენა თითოეული სამსახურის ფუნქციის, უკვე ჩატარებული სამუშაოს და ასევე განვითარების სამომავლო პერსპექტივების შესახებ, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის განვითარებაზე ორიენტირებულ სტრატეგიას.

რეკომენდაციები

რეკომენდებულია ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობითობისა და მართვის ეფექტურობის უკეთ უზრუნველსაყოფად.

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

უნივერსიტეტში შექმნილია და ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ამჟამად სამსახურს წარმოადგენს მხოლოდ მისი ხელმძღვანელი. უნივერსიტეტი ავითარებს ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ. თხელ სისტემას, როდესაც ყველა ადმინისტრაციული ერთეული, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფისპროცესში, რაც საბოლოო ჯამში, ხარისხის კულტურის დანერგვის და ეფექტურობის ამაღლების მნიშვნელოვან პროცესს უწყობს ხელს. ასე მაგალითად, სტუდენტთა კმაყოფილების გეგმიური ყოველსემესტრული კვლევების ჩატარების პასუხისმგებლობა გადანაწილებულია ხარისხის უზრუნველყოფის და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებს შორის. გამოკითხვა ტარდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების მეშვეობით ელექტრონულად. პირველადი მონაცემების დამუშავება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის პრეროგატივას შეადგენს, ხოლო ამ მონაცემებზე დაყრდნობით შედეგების ანალიზი და, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციების შემუშავება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პასუხისმგებლობას განეკუთვნება. ასეთივე ორმხრივი მოვალეობები და პასუხისმგებლობები აკავშირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორთან. მის პრეროგატივას წარმოადგენს უკუკავშირის მიღება ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, მართვის ხარისხის კონტროლი და ასევე ხარისხის კონტროლი სტრუქტურულ ერთეულებში.

უნივერსიტეტმა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უშუალო და აქტიური მონაწილეობით შექმნა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვას როგორც სწავლების ცალკეულ საფეხურზე, ასევე კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: სტუდენტების არსებულ რაოდენობას, სამომავლოდ დაგეგმილი სტუდენტების რაოდენობას, პროგრამების მიმართულებების და საფეხურების (ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის) მიხედვით. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმის მეთოდოლოგია უნივერსიტეტის სამომავლო

განვითარების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. შემუშავებულია შიდა ხარისხის სისტემის სახელმძღვანელო.

ამდენად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობას განეკუთვნება მთლიანად უნივერსიტეტის სასწავლო, კვლევითი, მართვის და ადმინისტრაციული ფუნქციონირების ხარისხის კონტროლი, რაც მზარდი დინამიკის გათვალისწინებით (ადმინისტრაციული ერთეულების გაზრდილი რაოდენობა და სტუდენტთა მზარდი რიცხვი) აღნიშნული სამსახურის მოვალეობების მოცულობის ზრდას და კვლევების გაფართოებას იწვევს.

რეკომენდაციები

რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რაოდენობრივი და დიფერენცირებული გაზრდა/გაფართოება (მაგალითად, ანალიტიკური და ხარისხის გარე შეფასების კომპონენტთა -ავტორიზაცია და აკრედიტაციამიმართულებით).

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროსდადასტურდა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა, სტუდენტები და პერსონალი ინფორმირებულია აკადემიური პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების, პლაგიატის დაუშვებლობის შესახებ.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

3.1. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი #03.06.05.2019, დოკუმენტის ამოქმედების ვადა 01.09.2019). ამ წესის მე-2 მუხლი განსაზღვრავს პროგრამის შემუშავება, მოდიფიცირება, გაუქმება და დამტკიცებას. მე-3 მუხლი განსაზღვრავს საგანანმანათლებლო პროგრამის აგების ალგორითმს. მე-5 მუხლი - ბტუ-ს სახელმძღვანელო პრინციპებს. მე-6 მუხლი პროგრამის შეფასებას პროგრამის განვითარების ჭრილში. მე-7 მუხლი - SWOT ანალიზი, მე-8 მუხლი - ISO 9001:25 და მუდმივი გაუმჯობესების ციკლი, როგორც ხარისხის გაზრდის მექანიზმი.

გასაუბრებიდან გამოვლინდა, რომ პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალი. პროგრამის შემუშავებაში გარკვეულწილად გათვალისწინებულ იქნა სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების მოსაზრება. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები მნიშნელოვან წილად ნაკარნახევია შრომის ბაზრის ანალიზით. უნივერსიტეტი მუდმივად ატარებს შრომის ბაზრის კვლევას.

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

უსდ-ში მოქმედებს ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტის), ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსების) საბაკალავრო პროგრამა; საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა; ბიზნესის ადმინისტრირების და თანამედროვე ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა, რომლის მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი და კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში. ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა. ყველა პროგრამა არის აკრედიტირებული.

პროგრამების ანალიზი გვიჩვენებს რომ პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის ფორმულირებული. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები არის აკრედიტებული, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მათი შესაბამისობაში მოყვანა ჯერ არ დაწყებულა, კერძოდ, პროგრამაში არ არის მოცემული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები. თუმცა, გასაუბრებისას პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ იგეგმება პროგრამის მოდიფიკაცია ახალ სტანდარტებთან მათი შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია განთავსებული აქვს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ადვილად ხელმისაწვდომია. ვებ-გვერდზე განთავსებული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას უსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. როგორც უკვე აღვნიშნეთ პროგრამების არ არის მოდიფიცირებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. კერძოდ პროგრამაში არარის მოცემული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და სამიზნე ნიშნულები, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის ახალ სტანდარტებთან მოდიფიცირების პროცესი დაწყებულია.

სწავლის შეფასების შედეგები დეტალურად არის გაწერილი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ფორმებს, (შუალედური და დასკვნითი), მეთოდებსა და კრიტერიუმებს. სილაბუსების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძირითადად გამოიყენება სწავლის შეფასების შემდეგი მეთოდები: ზეპირი და წერითი პრეზენტაცია, პროექტის მომზადება, ამოცანების ამოხსნა, ტესტი, ქვიზი, კონკრეტული სიტუაციის ანალიზი და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სამაგისტრო ნაშრომის მომზადება ზოგ შემთხვევაში ხდება სამი სტუდენტის მიერ.აღნიშნული ფორმატი კი, ჩვენი აზრით, ვერ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალურ და ობიექტურ შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ როგორ ხდება ჯგუფში შემავალი ცალკეული სტუდენტის შეფასება. მიღებული პასუხი

იყო ბუნდოვანი. ვფიქრობთ, რომ სამაგისტრო ნაშრომი, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტს, ინდივიდუალურად უნდა სრულდებოდეს და ხდებოდეს ინდივიდუალური შეფასება.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებული იქნას სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ ფორმატში.

4.ადამიანური რესურსი

4.1 პერსონალის მართვა

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის სტრატეგია, რომელიც უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს. ბტუ-ს საკადრო პოლიტიკა, ზოგადი პრინციპების სახით, მოიცავს კვალიფიციური კადრების მოზიდვის, პერსონალის განვითარების, ახალი კადრის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის, წახალისების მექანიზმებისა და შრომის ანაზღაურების სისტემის სრულყოფის საკითხებს. ბტუ-ს ასევე შემუშავებული აქვს პერსონალის შერჩევის წესი, აკადემიური კონკურსის დებულება, აკადემიური საქმიანობის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმიაფილირების წესი და პერსონალთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები.

აფილირებული პერსონალის უმრავლესობა არ ფლობს დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც შეიძლება გახდეს გარკვეული სირთულეების საფუძველი უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის,რადგანაც, ახალი ცოდნის შექმნა საჭიროებს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართულობას.

აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობისფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა,რაც ნაკლებად გულისხმობს უნივერსიტეტის მხრიდან გაცხადებულ ვალდებულებას; ამასთან, აფილირებული პერსონალის მხრიდან ინტერვიუს დროს ნაკლებად გამოიკვეთა აფილირების წესში არსებული დაფინანსების შესაძლებლობების გამოყენების პრაქტიკა, რაც გამოწვეულია აფილირებული პერსონალის არსებული წესის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი ხარისხით.

უნივერსიტეტს მეტწილად აქვს განსაზღვრული პოზიციების შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაოს აღწერილობები და ფუნქციები, თუმცა ცალკეულ პოზიციებს არ აქვს მითითებული ენობრივი კომპეტენციები მაგ. ბიბლიოთეკის სამსახური.აღნიშნული გარემოება მით უფრო ყურადსაღებია, რადგან უსდ სამომავლოდ გეგმავს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას, უცხოელი სტუდენტების მოზიდვას.

უნივერსიტეტი პროფესიული განვითარების მიზნით ხელს უწყობს პერსონალის ჩართვას სხვადასხვა პროექტებში და ტრენინგებში, თუმცა სტრუქტურაში არ არის გამოყოფილი უწყვეტი განათლების სტრუქტურული ერთეული რაც ზემოხსენებულ აქტივობის სისტემატიურობის უზრუნველყოფისთვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

რეკომენდაციები

აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა. რეკომენდებულია, აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერის ფორმულირება მკაფიოდ გაიწეროს და გაიზარდოს აფილირებული პერსონალის ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა. ბტუ-ს აკადემიური პერსონალის (პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ-პროფესორების, ასისტენტების) საქმიანობის მიმართულებებს, დატვირთვის ზღვრულ მოცულობას საათებში და დატვირთვის სქემას (სქემის კომპონენტების ჩამონათვალს, ზღვრულ მოცულობას საათებში, სხვ.) შეიმუშავებს და ამტკიცებს აკადემიური საბჭო. ბტუ-ში წლიური დატვირთვა სრულ განაკვეთზე (არაუმეტეს: კვირაში - 40 სთ, დღეში - 8 სთ, წლის განმავლობაში - 11 თვე) შეადგენს მაქსიმუმ 1792 სთ და მინიმუმ 900 სთ. სრული განაკვეთის შემთხვევაში წლიური დატვირთვის ინდივიდუალურ გეგმით განსაზღვრულად: ა) სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეთმობა საშუალოდ კვირაში: პროფესორი - 8 სთ, ასოცირებული პროფესორი - 7 სთ, ასისტენტ-პროფესორი - 5 სთ); ბ) პედაგოგიურ საქმიანობას - წლიური საერთო დატვირთვის არაუმეტეს 25%-ისა.

საგანმანათლებლო პროგრამების და პროექტების/კვლევების განმახორციელებლების რაოდენობების განსაზღვრის წესის მიხედვით,სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს; აფილირებული აკადემიური პერსონალის პედაგოგიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს დატვირთვის (სრული/ნაწილობრივი განაკვეთის საათების) 25%-ს; პედაგოგიური საქმიანობისთვის განკუთვნილი დრო მოიცავს არამხოლოდ საკონტაქტო და საკონსულტაციო საათებს, არამედ ლექციისთვის, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობისათვის, სამუშაო ჯგუფში მუშაობისათვის და/ან სხვ. მომზადებას, წერითი დავალებების შედგენას, შემოწმებასა და შედეგების განხილვას, საგამოცდო დავალებების შედგენასა და შემოწმებას, სალექციო მასალების მომზადება-განახლებას. პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის გადამოწმებისას გამოიკვეთა რამოდენიმეაფილირებულ პერსონალი, რომელთა მიმდინარე სემესტრული დატვირთვა აჭარბებს სქემით გათვალისწინებულ ნორმებს. (მ.ქ. – 232/21=11 საათი, ქ.კ.-372/21=17, ი.გ. – 496/21=23)

ინდივიდუალური დატვირთვის სქემას და აფილირებული პერსონალის მიერ დატვირთვის შესრულების ანგარიშებს ყოველწლიურად მონიტორინგს უწევსბტუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და ფაკულტეტის დეკანიგანიხილავს

დატვირთვის სქემის შეუსრულებლობის, დარღვევის ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებს.

რეკომენდაციები:

გაიზარდოს ზოგადად აკადემიური და მათ შორის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობა, მოხდეს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ფინანსური წახალისება დამკაფიოდ გაიწეროს შესაბამის წესში.

რჩევა:

სასურველია, უნივერსიტეტში შეიქმნას უწყვეტი განათლების ცენტრი, რაც ხელს შეუწყობს უსდ სამომავლო განვითარებას.

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

5.1.სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

5.1. ბთუ-ში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესები გამჭვირვალე და სამართლიანია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც რეგულირდება შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხურის დებლებით. აღნიშნული დოკუმენტებისაჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ასევე, ბთუ-სა და სტუდენტებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც იცავს სტუდენტის უფლებებს. სტუდენტებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი იცნობენ ხელშეკრულებას და მისი გაფორმება ხდება სასწავლო პერიოდის დასაწყისში.

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ-ს სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ საჭირო დახმარება და კონსულტაციები, როგორც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან, ასევე პედაგოგებისგან. სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ პედაგოგებთან კომუნიკაცია და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის გავლა მარტივია და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი.

ბტუ-ში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული ორიენტაციისა და სხვა საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით;ბთუ პერიოდულად აწვდის გაფილტრულ და დამუშავებულ ინფორმაციას ვაკანსიის შესახებ სტუდენტებს. სტუდენტებმა გასაუბრების დროს გამოხატეს კმაყოფილება აღნიშნულ ცენტრთან დაკავშირებით.

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

6.1 კვლევითი საქმიანობა

უნივერსიტეტს გააჩნია კვლევითი ცენტრი, რომელიც ფოკუსირდება კვლევებზე ციფრული ეკონომიკის, ციფრული მეწარმეობის და ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მიმდინარე კვლევით პროექტებში; დამოუკიდებლად აირჩიონ მათთვის საინტერესო კვლევა, ჩაერთონ დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების ანალიზის პროცესში და გაიღრმავონ ცოდნა და კვლევითი უნარები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლაბორატორია და ის ფოკუსირებულია განახლებადი ენერგეტიკის კვლევებზე. განახლებადი ენერგეტიკის კვლევის პროცესში თანამშრომლობენ სხვადასხვა პარტნიორთან, კერძოდ სოკართან, სემეკთან. და ა.შ. კვლევაში ჩართულები არიან სტუდენტები, კერძოდ, სამი მაგისტრი. ამ პროექტში მონაწილეობენ სხვა უნივერისტეტის სტუდენტები.

უნივერსიტეტი თანამშრომლობს ჟურნალ ანტრეპრენიორთან; აქვთ შესაძლებლობა გამოაქვეყნონ სტატიები მოცემულ ჟურნალში.

მკვლევარ პროფესორებს აქვთ ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს კვლევაში ჩართულობის კომპონენტებს. კვლევის სფეროა ციფრული ეკონომიკა, განახლებადი ენერგეტიკა, ინოვაციები და მეწარმეობა. ასევე აქვთ განსხვავებული კვლევითი თემები. თითოეულ თემასთან დაკავშირებით იქმნება ჯგუფები.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს არ აქვს გამოყოფილი ფონდი კვლევების განხორციელებისათვის, კვლევითი ცენტრი ძირთადად მუშაობს კვლევის წახალისების კუთხით, კვლევითი გრანტების მოზიდვისა და მათში მკვლევარების ჩართვის კუთხით. კვლევითი ცენტრი აწვდის ინფორმაციას კვლევების შესახებ, ასევე ხდება პერსონალის დატრენინგება.

ამჟამად უნივერსიტეტი სმარტ სიტის პროექტშია ჩართული ტალინის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს კვლევა პრიორიტეტად აქვს გამოცხადებული, ამჟამად უნივერსიტეტს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აქვს მცირე რაოდენობის, დაახლოებით 13 მცირე მასშტაბის კვლევა განხორციელებული. რაც მოწმობს იმ ფაქტს ,რომ ამ ეტაპისათვის უნივერსიტეტი ვერ ახერხებს თავისი აკადემიური პერსონალის სრულიად ჩართვას სამეცნიერო კვლევით პროცესებში.

უნივერსიტეტში შემუშავებულია დოქტორანტურის დებულება, რომელიც მოიცავს სადოქტორო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა, მოდიფიცირების და გაუქმების წესს, ასევე, დოქტორანტურაში მიღების, ჩარიცხვისა და სწავლების წესს, დოქტორანტურაში აკადემიური ხარისხის მინიჭების წესს. ამავე დებულებაში

დეტალურად არის მოცემული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები.

უნივერსიტეტში შემუშავებულია სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული, სხვ. საქმიანობის შეფასების მექანიზმი.

6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევითი ცენტრი, რომელიც ეხმარება სამეცნიერო კვლევით დაინტერესებულ აკადემიურ პერსონალს კვლევების განხორციელებაში, ტრენინგებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებებით. უნივერსიტეტი ასევე ეხმარება აკადემიურ პერსონალს მიიღონ მონაწილეობა როგორც საერთაშორისო კონფერენციებში, ასევე, გაცვლით პროგრამებში.

გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნი აკვლევების დაფინანსების საკუთარი ფონდი, თუმცა ეხმარება აკადემიურ და სამეცნიეროპ ერსონალს/სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს სხვადასხვ აწყაროდან მოიპოვონ დაფინანსებ აკვლევების ჩასატარებლად დ აკვლევითი ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და უწევს კონსულტაციას სამართლებრივ საკითხებთან, დაფინანსების წყაროების მოძიებასთან, საგრანტო განაცხადის მომზადებას, მის შეფასებასა და წარდგენასთან დაკავშირებით.

ამჟამად ხორციელდება კვლევითი პროექტი, რომელიც ეხება განახლებადენერგეტიკას და მასში ჩართული არიან უნივერსიტეტის სტუდენტები.

6.3 კვლევითისაქმიანობისშეფასება

უსდ-ს გააჩნიაკვლევითისაქმიანობისხარისხისშეფასებისმექანიზმი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკონტროლებს მართვის ხარისხს და იღებს უკუკავშირს ჩატარებული კვლევების თაობაზე. კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის დირექტორი უსდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ხელმძღვანელობს კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესს.უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული კვლევები განთავსებულია უსდ ვებგვერდზე.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს კვლევების განხორციელების ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევით დაინტერესებული აკადემიური პერსონალის, დოქტორანტების და მაგისტრების ჩართვას კვლევით პროექტებში და კვლევის კუთხით ამბიციური გეგმების განხორციელებას.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

7.1. მატერიალური რესურსი

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს მართლზომიერ მფლობელობაში აქვს უძრავი ქონება, რომელიც მოიცავს შენობა-ნაგებობას (სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობისთვის) და გარე/სივრცით პერიმეტრს. დაწესებულებას, განაცხადის ფორმაში-სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრის შესახებ, აღნიშნული აქვს, რომ საერთო ფართი, საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებელად, შეადგენს-11039.70მ², მათ შორის საწავლო ფართი-3628,70მ² და 119,29მ² ლაბორატორიებისთვის. თუმცა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შიდა-აზომვით ნახაზში, დაფიქსირებული არ არის გამიჯნული სასწავლო და დამხმარე ფართების სიდიდე ჯამურად. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის, სასწავლო პროცესს ემსახურება სამ სართულზე განთავსებული, თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და ლაბორატორიები, რომლებშიც დაცულია უსაფრთხოების ნორმები. ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების საშუალება. შენობის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა.

ზემოაღნიშნულის გარდა,შენობაში არის:სარეკრეაციო სივრცეები, კეთილმოწყობილი ფართები ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად, კომფორტული სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, ბიბლიოთეკა (საცავით) და სანიტარული კვანძები (რომლებშიც დაცულია სან-ჰიგიენური ნორმები). სანიტარული კვანძები განთავსებულია ყველა სართულზე, მუდმივად მარაგდება წყლით და უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით. შენობაში ასევე არის კაფეტერია დახურული და ღია სივრცით, რომლის ფართი საკმარისია სტუდენტთა არსებული რაოდენობის პირობებში, მაგრამ სათანადოდ ვერ მოემსახურება სტუდენტებს, გაზრდილი კონტიგენტის შემთხვევაში. თუმცა, ადმინისტრაციის პერსონალთან ინტერვიუირებისას, აღინიშნა, რომ გამოძებნილია ალტერნატიული ფართი კაფეტერიის გასაფართოებლად.
უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა წინა ვიზიტის შემდეგ, დასრულებულია შენობის მე-4 სართულის (685,73 მ²) სარემონტო სამუშაოები, რომელიც წარმოადგენს დამატებით რესურსს სტუდენტთა კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის. დაწესებულებას, კომპიტერულ და სასწავლო აუდიტორიებისათვის შესყიდული აქვს საკმარისი რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და სათანადო ინვენტარი, რომლებიც ვიზიტის განხორციელების პერიოდში ჯერ არ იყო განთავსებული ახლადგარემონტებულ ფართში (მათ შორის 100 ახალი კომპიუტერი).

დაწესებულებაში უზრუნველყოფილია პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა. შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას დამონტაჟებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი .

დაწესებულებას, პირველადი სამედიცინო დამხარების აღმოჩენის მიზნით, ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის სამედიცინო პერსონალი და აქვს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათებით და ნიავდება ბუნებრივი წესით.

დაწესებულებას ჰყავს დაცვის თანამშრომელები, დაცვის ღონისძიებების და წესრიგის უზრუნველსაყოფად. მთლიან, შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც აღჭურვილია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით.

დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. მათთვის შესაძლებელია შენობაში თავისუფლად გადაადგილება ლიფტით, არსებობს შესაბამისად მოწყობილი სანკვანძი. შენობის გარე პერიმეტრზე არსებობს სპეციალური ავტოსადგომი, საიდანაც შესაძლებელია შენობაში შეუფერხებლად მისვლა. ამჟამად უნივერსიტეტში სწავლობს მხოლოდ ერთი სსსმ პირი.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის 52 პოტენციურ ობიექტთან (მათ შორის, 16-საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით). ინტერვიუირებისას, დამსაქმებლებმა აღინიშნეს მზარდი ინტერესი, დაწესეულების მხრიდან, სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართ.

ბტუ-ის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი ემსახურება მისიით განსაზღვრული მიზნების მიღწევას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს.

ვიზიტის პერიოდში, ვიზუალური დათვალიერების შედეგად და დაწესებულების მიერ შემუშავებული, კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში აუდიტორული დატვირთვის გამოთვლის საფუძველზე, შესაძლებელად მიგვაჩნია სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზრდის შემთხვევაში, ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურად წარმართვა.

რჩევები:
დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა აზომვით ნახაზზე სასწავლო და დამხმარე ფართების ჯამური ოდენობის დაფიქსირება, რათა უფრო ნათლად იქნეს წარმოდგენილი გამიჯნული ფართები.
დაწესებულებამ უზრუნველყოს კაფეტერიისათვის დამატებითი ფართის გამოყოფა და მოწყობა, რათა სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი შეუფერხებლად მომსახურება.

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები.

დაწესებულების ბიბლიოთეკა განთავსებულია 613,99 მ² ფართობზე და მოიცავს ინტერნეტში ჩართულ, კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილ სამკითხველო დარბაზს, სამუშაო სივრცეს ბიბლიოთეკის პერსონალისთვის, კომფორტულ სივრცეს ჯგუფური მუშაობისთვის და წიგნსაცავს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია 2 მულტიფუნქციური პრინტერი. შესაძლებელია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა. ბიბლიოთეკა მუშაობს კვირაში 6 დღე, ორშაბათიდან (09.სთ.-20სთ) შაბათის (10.00-18.00) ჩათვლით. დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდში 1000 ერთეულამდე ბეჭდური წიგნია. არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა.ბიბლიოთეკაში ხელმისაწდომიასილაბუსებში მითითებული ძირითადი

ლიტერატურა, რომლებიც დამუშავებულია არსებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე (ScinceDirect, EBSKO, SCOPUS, HarvardBusiness, SAGE Premier, ACCA და სხვ.) წვდომის შესაძლებლობა. მათ ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის პერსონალი, რომელიც ხშირად აწყობს საკონსულტაციო და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს და ეხმარება როგორც აკადემიურ პერსონალს, ასევე სტუდენტებს, საჭირო საბიბლიოთეკო რესურსის მოძიებაში. ბიბლიოთეკის პერსონალი, მუდმივად ზრუნავს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე. დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტში განსაზღვრულია ხარჯები, საბიბლიოთეკო ფონდის (წიგნადი და ელრესურსები) ზრდის უზრუნველსაყოფად (ყოველ მომდევნო წელს დაახლოებით 20 %-ით) და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად.
დაწესებულებაში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის- BTU CLASROOM-ის საშუალებით (აქვე ეგზავნებათ მათ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინფორმაცია დაგეგმილი შეხვედრების და ტრენინგების შესახებ) სტუდენტები ახორციელებენ მოთხოვნის დაფიქსირებას მათთვის საჭირო წიგნზე, რომელზეც შემდეგ რეაგირებას ახდენს ბიბლიოთეკის პერსონალი. სტუდენტებმა და პერსონალმა, ინტერვიუირებისას, გამოხატა კმაყოფილება ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ გაწეული მომსახურების მიმართ.

მიგვაჩნია, რომ დაწესებულების საბიბლიოთეკო რესურსი და მომსახურების ეფექტური სისტემა, კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას და სტუდენტთა შეუფერხებელ სერვისს.

რჩევა:

ბეჭდური წიგნების რაოდენობის გაზრდა სილაბუსების შესაბამისად, რათა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს მათი მნოთხოვნების დაკმაყოფილება;
ელექტრონული რესურსების ახალ ბაზებთან წვდომის გაზრდა;

7.3. საინფორმაციო რესურსი

დაწესებულებაში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მუდმივად, შუფერხებლად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. შემუშავებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვა (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა). დაწესებულების ბალანსზე არსებული კომპიუტერული ტექნიკა შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. კომპიუტერული კლასები აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით და პროექტორებით, რომლებიც ემსახურება სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუფერხებლად სარგებლობა. ერთადერთი, რაც სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს იყო ის, რომ მათ არ აკმაყოილებთ ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე. 2019 წლიდან ბტუ-ს ინტერნეტპროვაიდერია საქართველოს საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია ,,გრენა“.

დაწესებულების აქვს ოფიციალური ვებგვერდი- www.btu.edu.ge, ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია და იძლევა სრულყოფილ წარმოდგენას უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. მათ შორის, ვებგვერდზე განთავსებულია უსდ-ს მისია, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის პროფალები, მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვ.

დაწესებულებაში დანერგილია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTU CLASROOM, რომელზეც წვდომა აქვს, როგორც სტუდენტებს, ასევე, დაწესებულების ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს. სისტემა უზრუნველყოფს მათ შორის სწრაფ კომუნაიკაციას და უკუკავშირს, რაც დადასტურდა ინტერვიუირების პროცესში. სისტემაზე პასუხიმგებელი პირის განმარტებით, კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება მისი გამტარუნარიანობა.
შენობის მეოთხე სართულზე განთავსებულგარემონტებულ ფართში, გათვალისწინებულია 3 ახალი კომპიუტერული აუდიტორიის დამატება, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პოცესის შეუფერხებლად წარმართვას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში.

რჩევა

გაუმჯობესდეს ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე, რაც აამაღლებს სტუდენტთა კმაყოფილებას აღნიშნული მიმართულებით.

7.4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმაწარმოადგინა 2018-2019 სანგარიშო წლის ფინანსური ანალიზი. მასშიაღნიშნულია, რომ დაწესებულებას შუძლია საკუთარი შემოსავლებით უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ამოცანების ფინანსური უზრუნველყოფა. საპროგნოზო ბიუჯეტის ძირითად მუხლებში ასახულია დაფინანსების ზრდა. დოკუმენტში, შემოსავლების წყაროდ მითითებულია ,,შემოსავლები უმაღლესი განათლებისგან“ და ,,შემოსავლები პროგრამებისგან“. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ სტუდენტების საგრანტო დაფინანსების და სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე შეტანილი სწავლის გადასახადები ვერ განაპირობებსდაწესებულების ფინანსურ სტაბილურობას.ბიუჯეტში ასახული უნდა იქნეს ,,სხვა შემოსავლები“ (დივერსიფიცირებული წყაროები), რომლებიც უზრუნველყოფს რისკების მართვას და უნივერსიტეტის ფინანსურიმდგრადობას.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 2018-2019 სანგარიშო წლის ფინანსური ანალიზიდან ჩანს, რომ დაწესებულების ბიუჯეტის მუხლში- ,,თანამშრომელთა გადამზადების ხარჯები“ გეგმით გათვალისწინებული იყო 20100 ლარი, თუმცა ფაქტობრივად აღნიშნული მუხლიდან, ხარჯვა არ განხორციელებულა. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ საპროგნოზო ბიუჯეტში, მომდევნო წლებში, თანამშრომელთა გადამზადებისათვის/პროფესიული განვითარებისთვის, თანხა აღარ არის გათვალისწინებული. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის სტანდარტების გათვალისწინებით კი, პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა,სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებთაინტერვიუირებისას დადასტურდა, რომ დაწესებულებაში არ განხორციელებულა უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ფინანსური აუდიტის ჩატარება, შესაბამისად არ არსებობს არც დასკვნა. თუმცა, აღინიშნა, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს აუდიტორის მოწვევა.

რეკომენდაციები:

1.აისახოს ბიუჯეტში დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები, უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად;

2.დაწესებულებამ უზრუნველყოს ფინანსური აუდიტის ჩატარება.

რჩევა:

განისაზღვროს ბიუჯეტში თანხები, პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნინო ღაღანიძე



დავით სიხარულიძე

ნინო ბერიშვილი



გოდერძი ბუჩაშვილი

ანა მიხელიძე

თბილისი

22 ნოემბერი 2019 წელი